

საჯაროობის წარმოდგენა

კულტურის სფეროს დამოუკიდებელ
მოდვანეთა სტატუსი და
გამონვებები საქართველოში

გამოსემულია პროექტ სივრცეების (SPACES) მიერ
რედაქტორები: ნატაშა ბოდროზიჩი და
ნინი ფალავანდიშვილი

2014

სარჩევი

შესავალი 5

მეთოდოლოგია / მიდგომა 9

დამოუკიდებელი კულტურა: განსაზღვრებები, პოზიცია, მოვლენათა განვითარების ვარსკვლავები

განსაზღვრებები: რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ „დამოუკიდებელი კულტურა“? 11

რატომ არის „დამოუკიდებელი“ კულტურა მნიშვნელოვანი? 12

კულტურის სფეროს დამოუკიდებელ მოღვაწეთა პოზიცია და გამოწვევები: საქართველოს, სომხეთის, მოლდოვას, უკრაინის ადგილობრივი ანგარიშები 14

ანგარიში საქართველოდან

არაინსტიტუციონალური კულტურის მოღვაწეების პოზიცია საქართველოში 20

ისტორია 21

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები 26

ურბანული ბრძოლები 30

რეკომენდაციები და დამოუკიდებელი კულტურის სფეროში მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარსკვლავები 35

რეკომენდაციები დამოუკიდებელი კულტურული სფეროს მოღვაწეებისათვის 35

რეკომენდაციები სამთავრობო უწყებებისათვის 37

რეკომენდაციები საჯარო სივრცეებთან მიმართებაში 41

ლიტერატურა / წყაროები 47

მუშაობა 48

მხარდამფარები 49

შესავალი

ამ ნაშრომის შექმნა განაპირობა იმ საჭიროებამ, რომ შესწავლილ უნდა იქნას კულტურის სფეროში განვითარებადი ინიციატივების ფენომენი, რაც ბოლო ათწლეულების მანძილზე ე.წ. „პოსტსოციალისტური ევროპის“ კულტურის სფეროს აყალიბებდა. კულტურული გაცვლის დაფუძნებული საბაზრო მოდელებისა და კულტურის, როგორც (ეროვნული) იდენტობის პოლიტიკის მატარებელის ცნების საპირისპიროდ, მიმდინარეობს თანამშრომლობითი პლატფორმების შემუშავება. ისინი კომერციული და ნაციონალური კულტურის დღის წესრიგის მიღმა არსებულ კულტურულ ფასეულობებს გამოხატავენ. მათი განხილვა ასევე შეიძლება, როგორც კულტურის სფეროში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესზე სამოქალაქო გამოხმაურება.¹ ისინი სახელმწიფო კულტურის ინსტიტუციების პარალელურად ვითარდება, როგორც ერთგვარი ინსტიტუციური კრიტიკა. მსგავსი ინიციატივები, რომლებიც, როგორც წესი, აერთიანებენ კულტურის სფეროს მოღვაწეებს, ხელოვანებს, ქალაქის ახალგაზრდობას და აქტივისტებს, ხშირად ადგილობრივი კულტურული შესაძლებლობების არსებულ ველს აფართოებს, შემოაქვს რა მასში სოციალურად ჩართული, ექსპერიმენტული, კოლექტიური (ასევე, ინდივიდუალური), პროგრესული კულტურული პრაქტიკა, რომელიც სცილდება ოფიციალური კულტურული რეპერტუარის ფარგლებს.

1 აქ იგულისხმება საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გარდაქმნები, რომლებიც 1970-იან წლებში აშშ-ში დაიწყო. ამ გარდაქმნებმა დიდი გავლენა მოახდინა 1980 და 1990-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, შემოიტანა მართვის მოქნილობა, დეცენტრალიზაცია, ქსელების და კომპანიების გაფართოება, მეტი მოქნილობა სამუშაო ადგილებში, ახალი და იაფი სამუშაო ძალა და ა.შ. ცვლილებები კულტურის სფეროსაც შეეხო, შემოიტანა რა მასში სტანდარტიზაცია, რომლის ფარგლებშიც ამერიკულმა კულტურამ გლობალური ლიდერის პოზიცია დაიკავა და ადგილობრივ კულტურებზე დომინირება დაიწყო. ამის საპასუხოდ გაიზარდა შემოფოთება ადგილობრივი და რეგიონული კონტრ-გამოხატვის შესაძლებლობების გარშემო. როგორც დეა ვიდოვიჩი წერს თავის ნაშრომში CLUBTURE, კულტურა, როგორც გაცვლის პროცესი 2002-2007 [CLUBTURE, Culture as the Process of Exchange 2002-2007] (ზაგრები, 2007), გლობალიზაციის გამოწვევებზე პოლიტიკურ პასუხსა და წინააღმდეგობის გამწევ ძალას კოლექტივები წარმოადგენს.

პროექტ „სივრცეების“ ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, უკრაინა) კულტურის პოლიტიკა არ იწვევდა ასეთი ადგილობრივი ინიციატივების განვითარების სტიმულირებას, თუმცა, დროთა განმავლობაში, ინიციატივები კულტურის სფეროს მნიშვნელოვან მოთამაშეებად ჩამოყალიბდნენ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული შესაბამისი კულტურული დისკურსიც შექმნეს. ისინი სახელმწიფოს ნაციონალური იდენტობის ნარატივებით მონოპოლიზებული კულტურული სისტემის ტრანსფორმაციულ ფაქტორებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სფეროს დამოუკიდებელი მოღვაწეები ცოდნის მაღალი დონის და გამოცდილების მქონე სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მათ არ აღიარებენ, რადგან ისინი განსხვავებულ ღირებულებებს გამოხატავენ და ხშირად, საკმაოდ კრიტიკულად არიან განწყობილნი კულტურის არსებული გაგების მიმართ.²

შედეგად, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური პირები და არასამთავრობო ორგანიზაციები განიცდიან ფიზიკური ფართების და დაფინანსების ნაკლებობას, რაც კიდევ უფრო ასუსტებს ხელოვნების სფეროს და ხშირად მას საზოგადოებისათვის უხილავს ხდის. ამ ნაშრომის მიზანია იმ მდგომარეობის და არსებული გამოწვევების ანალიზის ჩატარება, რაც ადგილობრივი და ახლად აღმოცენებული თემების წინაშე დგას, ასევე, პრობლემების გადაწყვეტის გზების აღმოჩენა, რათა გაუმჯობესდეს მათი პოზიციები. გარდა ამისა, ნაშრომის გამოყენება გამიზნულია ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან მოლაპარაკების ინსტრუმენტად და დამატებით არგუმენტად, რომ ადგილობრივ თემთა მნიშვნელობა აღიარებულ იქნას თანამედროვე სოციალურ-კულტურულ დინამიკაში, რაც მათ თავიანთი საქმიანობის მხარდაჭერის მოპოვებაში დაეხმარებათ.

მოცემული ნაშრომი შექმნილია აღმოსავლეთ ქვეყნებში მდგრადი საჯარო სივრცეები კულტურისთვის (SPACES/სივრცეები) პროექტის ფარგლებში, დაფინანსებული ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ

2 ისინი აქტიურად არიან ჩართულნი დეცენტრალიზებულ გარემოში და მოითხოვენ სახელმწიფოს ყველა კულტურული ინსტრუმენტის (დავეგმვა, კანონმდებლობა, დაფინანსება) და ღონისძიების (გამოცხადებული ტენდერები, ჯილდოები, გრანტები) დეცენტრალიზაციას.

პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში. ნაშრომი შეიქმნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან ოთხი და ევროკავშირიდან ერთი დამოუკიდებელი კულტურის სფეროს ორგანიზაციის თანამშრომლობის შედეგად: Utopiana.am (სომხეთი), გეოეარი (საქართველო), ასოციაცია Oberliht (მოლდოვა), CSM (უკრაინა), ასევე - Slobodne Veze/Loose Association (ხორვატია).³ პროექტს კოორდინირებას უწევდა OIKODROM (ავსტრია). დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია და დასკვნები უმეტესად დაკავშირებულია ოთხ დედაქალაქთან, სადაც გაიმართა პრიექტის ღონისძიებების უმრავლესობა: კიშინიოვი, კიევი, თბილისი და ერევანი.⁴

3 2013 წლის 1 ივლისს, პროექტ „სივრცეების“ მიმდინარეობისას, ხორვატია გახდა ევროკავშირის 28-ე წევრი.

4 ნაშრომში გამოყენებულია ხორვატიის დამოუკიდებელი კულტურული სექტორის განვითარების გამოცდილება, პოლიტიკის შემუშავების პროცესში ინოვაციური ქვემოდან-ზემოთ მიდგომით, ახალი ინსტიტუციური მოდელებით და თეორიული მოსაზრებებით ახლად აღმოცენებული კულტურული ტრადიციების თემაზე, რაც ნაშრომში შესაბამის მინიშნებებად და მოსაზრებებად იქნა გაზიარებული.

გეთოღოლოგია /
ვიდგომა

რადგან ამ ნაშრომში განხილული საკითხი კულტურის სფეროს ახალ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც შესაბამის ქვეყნებში არც სრულადაა ჩამოყალიბებული და არც სამთავრობო უწყებების მიერ არის სათანადოდ აღიარებული, სტანდარტული პოლიტიკის ანალიზის გამოყენება შეუძლებელია. სხვა სიტყვებით, გემოაღნიშნულ ოთხ ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განიხილავს დამოუკიდებელი კულტურის თემას, ან აღიარებს მის საჭიროებებს, ან მის მიერ ზოგადად კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სფეროში შეტანილ წვლილს.⁵ პოლიტიკის ეს არეალი ჯერ-ჯერობით არ რეგულირდება, შესაბამისად, მოცემული დოკუმენტი მისი დღის წესრიგში შეტანის ერთ-ერთ მცდელობას წარმოადგენს.

მოცემული დოკუმენტი ეყრდნობა არსებულ წყაროებს, რომლებიც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების (კულტურის სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციების) განვითარებას და თანამედროვე ხელოვნების სფეროში ამ დრომდე ჩატარებულ კვლევებს, ოთხ შესაბამის საკვლევ ქვეყანასთან - სომხეთი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, მიმართებაში. თუმცა, ჩვენი ინტერესთა სფერო, დამოუკიდებელი კულტურის სექტორი, ამჟამად თვითჩამოყალიბების პროცესშია ჩართული.⁵ აქედან გამომდინარე, არსებობს სფეროში თვითგამორკვევის მიმდინარე პროცესების ხელშეწყობის პარალელური საჭიროება. აუცილებელია, დამოუკიდებელი კულტურის წარმომადგენლების უფლებამოსილების გაზრდა, რათა მათ მიაღწიონ ხილვადობისა

5 აღსანიშნავია, რომ საკვლევ ოთხ ქვეყანაში სიტუაცია განსხვავდება და შესაბამისად, მათი კულტურის სექტორებიც სხვადასხვაგვარად განვითარდა. მაგალითად, უკრაინას ახასიათებს ხელოვნების ყველაზე მაღალგანვითარებული ბაზარი, ხელოვნების მართვის სფეროში უმაღლესი დონის პროფესიონალიზმი, ხელოვნებასა და კულტურაში კერძო ინვესტიციების უმაღლესი ჩართულობა, ამასთან კულტურის სფეროში სამთავრობო ხარჯების ყველაზე დაბალი დონე. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ ამ ნაშრომში განხილული ქვეყნების ანგარიშების შესაბამისი ვებგვერდები.

და სტაბილურობის მაღალ დონეს და მათი მთავრობებთან დიალოგის ხელშეწყობის განევა. ამ ეტაპზე, დამოუკიდებელი კულტურული მოღვაწეები თავიანთი მთავრობების მიერ მხოლოდ ნაწილობრივ აღიქმებიან, მათი საჯარო ფონდებიდან დაფინანსება არარეგულარულ ხასიათს ატარებს, არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და დაფინანსების პროცედურების გამჭვირვალე წესები. ამ დოკუმენტში, ჩვენ ზოგადად განვიხილავთ კულტურული პოლიტიკის სფეროში მთავრობების საქმიანობას და მათი ქმედებების გავლენას ადგილობრივ კულტურულ ასპარეზზე, რასაც საკვლევი ოთხი ქვეყნის დამოუკიდებელი კულტურის სფეროში მოღვაწე შესაბამის პროტაგონისტებთან ჩატარებული ინტერვიუების მეშვეობით მივალწიეთ.

ეს ნაშრომი ორ მიზანს ემსახურება:

- ის ცდილობს, ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი კულტურის სფეროს თვითგამორკვევას, თვითკონცეპტუალიზაციას, თვითორგანიზებას და ხილვადობას;
- ის ცდილობს, შეასრულოს სამთავრობო უწყებებთან მოლაპარაკებებისთვის დამატებითი არგუმენტის როლი, რათა გააუმჯობესოს დამოუკიდებელი კულტურის პოზიცია საერთო კულტურის სფეროში და ფართო საზოგადოებაში.

ნაშრომი შეიცავს განმარტებებს, შინაარსობრივ აღწერას, რეკომენდაციებს პოლიტიკოსებისთვის და კულტურის სფეროში მესამე სექტორის შესაძლო განვითარების სცენარებს. დამოუკიდებელი კულტურის სფერო უნდა განიხილებოდეს, როგორც შესაბამისი სოციალური მოთამაშე, უფრო პროგრესული კულტურის პოლიტიკის შექმნის პროცესში მთავრობის პოტენციური პარტნიორი.

I. ბანსაზღვრებები: რას ვმზღვისხმობთ, როდესაც ვამბობთ „დამოუკიდებელი კულტურა“?

დამოუკიდებელი მოღვაწეობა კულტურის სფეროში ახალი წარმონაქმნია, მისი ფორმირება დაახლოებით უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში, კონკრეტულ კონტექსტზე⁶ დაფუძნებით ხორციელდება. ეს მოიცავს არაკომერციული, სამოქალაქო გაერთიანებების (არასამთავრობო ორგანიზაციების), არაფორმალური, ინტერდისციპლინარული ჯგუფების, შემოქმედებითი კოლექტივების და თანამედროვე კულტურის ჩამოყალიბებაში ჩართული პირების ფორმირებას.

დამოუკიდებელი კულტურის ასპარეზი განუყოფელია იმ კონტექსტისგან, რომელშიც ის ყალიბდება. მისი მოღვაწეობის გასააზრებლად, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ მისი ფუნქციონირების ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური გარემო, აგრეთვე, ახალ გლობალურ პირობებში კულტურის დაწესებულებების წარმოქმნილი კრიზისი, რომელმაც დასაბამი მისცა ახალი სოციალური და კულტურული წარმონაქმნების ჩამოყალიბებას.⁷

დამოუკიდებელი ასპარეზი სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი „ოფიციალური კულტურის“ პარალელურად არსებობს, ეს უკანასკნელი წარმოდგენილია სახელმწიფო დაწესებულებების

6 ამ ნაშრომში ჩვენ ვანვიხილავთ პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დამოუკიდებელი კულტურის განვითარებას. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კულტურის სფეროში ე.წ. არაფორმალური სამოქალაქო ფორმირება თავისი ფესვებით „ანდერგრაუნდიდან“, სოციალისტური ეპოქის ალტერნატიული ხელოვნებიდან (1970-იანი წლებიდან) მომდინარეობს, ჩვენ დამოუკიდებელი ასპარეზის დასაწყისი, ახლად ჩამოყალიბებული ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ტექნოლოგიური გარემოს გამო პოსტსოციალისტურ 1990-იან წლებს მივაკუთვნებთ. ეს მომდევნო თავებში იქნება განხილული.

7 როგორც უკვე ვახსენეთ, ტექნოლოგიურმა გარდაქმნებამ და ახალი სოციალური პირობების ფორმირებამ გავლენა იქონია პროდუქციის შექმნის, კომუნიკაციის და საცხოვრებელ პირობებზე. ზოგადად, მართვის მოქნილობამ, დეცენტრალიზაციამ, ქსელების და „მოქნილი“ სამუშაო ადგილების გამოჩენამ კომპანიებში რეორგანიზაციის ჩატარება გამოიწვია. გარდა ამისა, დრამატული ზეგავლენის საფრთხე შეუქმნა ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ყოფას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილებების ორივე დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება განხილვის საგანი იყოს, მათი გამოჩენა ისტორიულ ფაქტად რჩება.

მიერ, რომლებსაც სტრუქტურა წინა პერიოდებიდან მემკვიდრეობით ერგო და რომელსაც ახალ მოთხოვნებზე, შეცვლილ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გარემოზე მოსარგებლად უმნიშვნელო ტრანსფორმაცია ჩაუტარდა.

ფართო ვაგებით, ტერმინი „დამოუკიდებელი კულტურა“ ეხება ყველა იმ წარმონაქმნს, რომელიც:

- არ არის სახელმწიფოს, ქალაქის ან მესამე პირის მიერ შექმნილი და არც მის საკუთრებაში არსებული, თვით-ჩამოყალიბებული ორგანიზაცია;
- დამოუკიდებლად იღებს გადანყვეტილებებს და მართავს საკუთარ ორგანიზაციას;
- ფინანსურად არ არის დამოკიდებული დაფინანსების ერთ წყაროზე და თავად განსაზღვრავს, თუ როგორ გამოიყენოს თანხები საპროექტო საქმიანობის განსახორციელებლად;
- არის არაკომერციული, უფრო მეტად დაინტერესებული ექსპერიმენტების ჩატარებით და საზოგადოების განვითარებით, ვიდრე მოტივირებულია მოგებით.

ეს სტრუქტურები, ძირითადად ხასიათდება როგორც დინამიური და მოქნილი, საზოგადოებასთან პირდაპირი კავშირის მქონე, სწრაფად რეაგირების მზადყოფნაში, რაც პროფესიონალიზმის, ენთუზიაზმის და ნებაყოფლობითი მუშაობის შეჯერების მეშვეობით ხერხდება (ამას თავისი ნეგატიური მხარეც ახლავს, აუნაზღაურებელი შრომისა და თვით-ექსპლუატაციის სახით). ასევე, ისინი ხასიათდება ხელოვნებისა და კულტურის მრავალფეროვან სფეროებში საქმიანობის წარმართვითა და თანამედროვე ხელოვნების ყველა სფეროს, პოპულარული კულტურის, თანამედროვე თეორიის, ახალი მედიის და ტექნოლოგიების, ასევე, ახალგაზრდობის კულტურას შორის ურთიერთგამდიდრებით. ისინი ფართო, სოციალური ცნობიერების არსებობას მოიზარებენ და აქტივისტური ორიენტაციის მატარებლები არიან.

II. რატომ არის დამოუკიდებელი კულტურა მნიშვნელოვანი?

ქალაქ ზაგრებში დამოუკიდებელი კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების 2005 წლის დეკლარაციის თანახმად, „შეუძლებელია დღეს თანამედროვე ქალაქის საერთო განვითარების პოტენციალის გამოიჭვნა ადამიანური და სოციალური კაპიტალისგან, რომელიც მისი მოქალაქეების თვითორგანიზების სხვადასხვა პრაქტიკის შედეგად არის გამოუმუშავებული. ურბანულ მოსახლეობაში მზარდი სამომხმარებლო ორიენტაციის მხარდამხარე, თანამედროვე ქალაქისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა გავრცელებული პრაქტიკისა და ურბანული ცხოვრების ფორმების მზარდი გახმოვანება. თანამედროვე ქალაქის ცხოვრება ხდება მრავალფეროვნების და ინტერპრეტირების, განსხვავებულ ინტერესთა შეხვედრის ადგილი. დამოუკიდებელი კულტურა და ახალგაზრდობის ფართო სპექტრი წარმოადგენენ სპონტანური ურბანული ინოვაციის პოტენციალს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არა მხოლოდ ქალაქური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით გააჩნია, არამედ როგორც სოციალური ინტეგრაციის ელემენტს და ქვემოდან წამოსულ ტრანსფორმაციულ პოტენციალს. დამოუკიდებელი კულტურა და ახალგაზრდობა ჩვეულებრივ დამატებით ინტერესთა მაღალ ხარისხსა და სინერგიის ეფექტზე მიგვანიშნებს.“⁸

ეს დეკლარაცია შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანიზაციების ფართო კოალიციის მიერ საერთო დღის წესრიგის შემუშავებისა და ჩამოყალიბების შემდეგ. მან საწყისი დაუღო მოლაპარაკებებს ზაგრების მუნიციპალიტეტთან ახალი ორგანიზაციის აღიარებისთვის.

აქ საინტერესო ის არის, რომ ხდება ორი ურთიერთდაკავშირებული სექტორის - ახალი განვითარებადი კულტურის პრაქტიკისა და ახალგაზრდული კულტურის გაერთიანება, რაც პოტენციურად მოიაზრებს ქალაქის მოსახლეობის ფართო სპექტრის ჩართულობას დამოუკიდებელი კულტურის მიერ წარმოებულ საქმიანობაში, მწარმოებლების და აუდიტორიის სახით.

8 დამოუკიდებელი კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარება ქალაქ ზაგრებში (2005), ვებ-გვერდი <http://www.jedinstvo.info/pozadina/Deklaracija/>, 2014 წლის იანვარის შეფასება. ნანახია: იანვარი 2014.

დეა ვილოვიჩის აზრით, დამოუკიდებელი კულტურის პრაქტიკა და ქვემოდან-ზემოთ ინიციატივები ქმნის დინამიურ და ჰეტეროგენულ სფეროს, რომელიც:

- აყალიბებს ქალაქის თანამედროვე სახეს;
- მთავარ როლს თამაშობს არსებული კულტურის სისტემის ტრანსფორმაციაში;
- თანდათანობით ერთიანდება დომინანტური კულტურის მატრიცაში თვითორგანიზებისა და ტაქტიკური ქსელების ახალი მოდელების გამოყენებით.⁹

დამოუკიდებელი კულტურა და ახალგაზრდობა, კრიტიკული კულტურის შექმნისა და ქალაქის კულტურის ლანდშაფტის გამდიდრების მეშვეობით, ქალაქის განვითარების საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს. სპონტანური ურბანული ინიციატივა - ძირითადი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს ურბანული ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ადგილობრივი ხელისუფლების და პოლიტიკოსების მხრიდან აღიარებას და მხარდაჭერას მოითხოვს, რაც ხელს შეუწყობს მის სტაბილიზაციასა და აღორძინებას.

დამოუკიდებელი კულტურა გამოირჩევა შინაარსობრივი მრავალფეროვნებით, ახალი ორგანიზაციული მოდელების განვითარებით და ასპარეზზე მუდმივად ახალი მოთამაშეების გამოჩენით. როგორც ზაგრების გამოცდილებამ აჩვენა, საკმარისად ორგანიზებულობისა და სამთავრობო უწყებების მხრიდან აღიარების შემთხვევაში, ის შეიძლება კულტურის პოლიტიკის სფეროში ინიციატივის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად მოგვევლინოს.

9 დეა ვილოვიჩი, "Razvoj novonastajućih kultura U Gradu Zagrebu od 1990 do 2010", სალოქტორო დისერტაცია.

III. კულტურის სფეროს დამოუკიდებელ მოღვაწეთა პოზიციის და განმარტებები - ადგილობრივი ანბარში

პროექტ „სივრცეების“ მიერ 2012 წლის ივნისში თბილისში ჩატარებულ პირველ შეხვედრაზე, ოთხივე ქვეყნის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კულტურის პოლიტიკის სამუშაო შეხვედრაში, რითაც თავისი წვლილი შეიტანეს საკუთარ ქვეყანაში დამოუკიდებელი კულტურის სფეროს ერთობლივ SWOT ანალიზში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენ კვლევაში ჩართულ ოთხ დედაქალაქში დამოუკიდებელი კულტურის ასპარეზები განსხვავდება ზომით, ორგანიზებულობის დონით და პროფესიონალიზმის ხარისხით. ოთხივე ქვეყანას ყოფილი სსრკ-ს ფარგლებში საზიარო კულტურული ისტორია გააჩნია, რომელიც ნაწილობრივ აისახა შემკვიდრებით მიღებულ მსგავს კულტურის ინფრასტრუქტურაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია საუბარი იდენტურობაზე პოლიტიკურ, სოციალურ ან კულტურულ კონტექსტში, დამოუკიდებელი კულტურის სფეროს მოღვაწეები ერევანში, თბილისში, კიშინიოვსა და კიევი საკუთარ ვითარებასთან დაკავშირებით მსგავს გამოწვევებს ასახელებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ ყველაზე ძლიერ მხარეს წარმოადგენს გადარჩენის უნარი იმ ცვალებად გარემოებებში, რომლებიც ადგილობრივი დაფინანსების ნაკლებობით, ადგილობრივი პოლიტიკოსების მხრიდან აუღიარებლობით და ბუნდოვანი, გაურკვეველი ან განუხორციელებელი კულტურის პოლიტიკით ხასიათდება. ისინი ახერხებენ, წინააღმდეგობა გაუწიონ არახელსაყრელ გარემოს, რაშიც ქსელების და ფანდრაიზინგის შესაძლებლობები, არაიერარქიული პრინციპებით საქმიანობის წარმართვა და მათი ერთობლივი მუშაობის მეთოდები ეხმარებათ. მათი მოტივაცია ძირითადად სოციალური ჩართულობით და ერთობიანობით არის განპირობებული.

მათი თქმით, ყველაზე დიდი გამოწვევა შეუსაბამო ადგილობრივ მხარდაჭერაში, მათ შორის, მთავრობებში კულტურის სტრატეგიის, ასევე კულტურის სამინისტროებში მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურების არარსებობაში გამოიხატება. ამ ფაქტორების გამო

შეუძლებელია გრძელვადიანი გეგმების შემუშავება. რთულია პროექტებისთვის ფიზიკური ფართების მოძიება, რაც აფერხებს მათ უწყვეტ საქმიანობას და თავის მხრივ, აძნელებს დაინტერესებულ მხარეებთან ხმის მიწვდენას ან თანამშრომლობას.

პროექტ „სივრცეების“ ფარგლებში 2013 წლის მეორე ნახევარში ჩატარებული კულტურის პოლიტიკის კვლევა ოთხ ქვეყანაში კულტურის სფეროს მოღვაწეთა მიზნობრივი გამოკითხვით დაიწყო. კვლევა მიზნად ისახავდა ამ მომენტისთვის მოქმედი დამოუკიდებელი კულტურის ასპარეზის და მასზე არსებული პრობლემების შესახებ უფრო ზუსტი სურათის შექმნას.

კითხვარი მოიცავდა:

1. როგორ დაახასიათებდით დამოუკიდებელი კულტურის სფეროს მოღვაწეებს (ფიზიკურ პირებს ან/და დაწესებულებებს)?
2. თქვენი აზრით, რა არის მათი (პოტენციური) როლი ქვეყნის პოლიტიკის და კულტურის განვითარებაში?
3. რამდენად შესაძლებელი არიან დამოუკიდებელი კულტურის სფეროს მოღვაწეები ქვეყნის კულტურის პოლიტიკაში?
4. როგორია თქვენს ქვეყანაში კულტურის პოლიტიკის ხუთი მთავარი მახასიათებელი? თუ არსებობს პრობლემები მიმდინარე (ეროვნული) კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტებში? რისი შეცვლაა აუცილებელი?
5. კულტურის პოლიტიკის რა რეკომენდაციები შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ დამოუკიდებელ კულტურასთან დაკავშირებით?

პასუხი მიღებული იქნა კულტურის სფეროს ცხრა წარმომადგენლისგან უკრაინიდან, მოლდოვადან - თექვსმეტისგან, ხოლო საქართველოდან - ხუთისგან. პარტნიორმა სომხეთიდან ჩაატარა 28 ინტერვიუ და გამოიმუშავა კონტექსტზე დაფუძნებული მეთოდი რესპონდენტთა საჭიროებების კარტირების ფორმატში ასახადა. პასუხები ასახული იქნება მომდევნო გვერდებზე მოცემულ ეროვნულ ანგარიშებში.

ანგარიში საქართველოდან

დედაქალაქი:	თბილისი
მოსახლეობა:	4,497,617 (2012)
ოფიციალური ენა:	ქართული (და, სადავო აფხაზეთის ტერიტორიაზე - აფხაზური)
ეთნიკური ჯგუფები:	83,8% ქართველი, 6,5% აზერბაიჯანელი, 5,7% სომეხი, 1,5% რუსი, 2,5% სხვა (2002)
პოლიტიკური სისტემა:	უნიტარული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
ევროკავშირთან თანამშრომლობა:	2004 წლიდან პარტნიორი ქვეყნა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში
მშპ:	123 მილიარდი ევრო (2012)
მშპ ერთ სულ მოსახლეზე:	2,729.3 ევრო (2012)

მონაცემები კულტურის სფეროს შესახებ:¹⁰

დაფინანსება (2010)

კულტურა, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების წილი: 0,50%
 სახელმწიფო ხარჯები კულტურის სფეროში: 40.951.489 ევრო
 კულტურის სფეროში ერთ სულ მოსახლეზე სახელმწიფო ხარჯები: 8.70 ევრო

ცენტრალური ხელისუფლების ხარჯების წილი კულტურის სფეროში: 99,50%

კულტურის ეროვნული პოლიტიკის მიზნების ჩამონათვალი:

2011-2014 წწ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენს:

- ხელოვნების განათლების სისტემის ხელშეწყობა;
- მსოფლიოში საქართველოს დადებითი იმიჯის შექმნა;
- კულტურული მემკვიდრეობის წახალისება და სამუზეუმო სისტემის გაუმჯობესება;
- ხელოვნების სხვადასხვა სფეროს ხელშეწყობა.¹¹

¹⁰ <http://www.culturalpolicies.net/web/countries.php?pcid=1180> ნანახია: მაისი 2014.

¹¹ <http://www.culturalpolicies.net/web/georgia.php?aid=23&curl=103> ნანახია: მაისი 2014.

არანინსტიტუციონალური კულტურის მოღვაწეების პოზიცია საქართველოში:

საქართველოში „კულტურის სფეროში სამოქალაქო ფორმირების“ საწყისების მიკვლევა, საკმაოდ რთულია რამდენიმე მიზეზის გამო.¹² პირველი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ შემოთავაზებული თვალსაზრისით ამ საკითხის ფართო კვლევა ჯერ არ განხორციელებულა. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ რამდენიმე ადგილობრივი კულტურის ოპერატორის თანახმად,¹³ ხელოვნების სფეროს ადგილობრივი წარმომადგენლების უმრავლესობას არ ჩაუტარებია საკუთარი თავის პოლიტიკური პოზიციონირება, იმ გაგებით, რომ ისინი ცდილობენ საჭაროდ არ გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები სამოქალაქო და შრომის ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით და ეჭვქვეშ დააყენონ საკუთარი, როგორც კულტურის მუშაკის, სტატუსი. არსებობს ბოგადი მოსაზრება, რომ თბილისში ხელოვნების სფეროს ბევრი წარმომადგენელი ხელოვნებას, როგორც შედარებით იზოლირებულ, ინდივიდუალური გამოხატვის სფეროდ მოიაზრებს და შესაბამისად ღიად არ ერთვება პოლიტიკურ დებატებში, ყოველ შემთხვევაში, არა ე.წ. სამოქალაქო ჩართულობის პოზიციიდან.¹⁴ მეორეს მხრივ, არსებობს ხელოვნების ორგანიზაციების, აქტივისტების, მხატვრების, კურატორების და სხვა პირებისგან შემდგარი საზოგადოება, რომლის არსებობაც საზოგადოებრივ

12 ამ ნაშრომში ტერმინი „კულტურის სფეროში სამოქალაქო ფორმირება“ დროებით გამოვიყენეთ, რომ აღვვნიშნა ოფიციალური კულტურის დანესებულეების სისტემის გარეთ არსებული ფიზიკური პირის ან მოქალაქეთა ჯგუფის, მხატვრების და კულტურის პრაქტიკოსების ნებისმიერი ნებაყოფლობითი ინიციატივა. ამგვარი აუტსაიდერის სტატუსი წარმოადგენს ამ ინსტიტუციების დაფარულ კრიტიკას, ძალიან ხშირად დაკავშირებულს იმ იდეოლოგიური ჩარჩოს კრიტიკასთან, რომელშიც მათ უხდებოდა ფუნქციონირება. თუმცა, 1990-იანი წლების დასაწყისში შეინიშნება ხელოვანთა ე.წ. „კონფიდენციალური თემების“ ფენომენი - ძირითადად მეგობრების და კოლეგების ჯგუფები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კულტურის დანესებულეების სისტემის მორღვევის საპასუხოდ დროებით სტრუქტურებად ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევა დაიწყო 1980-იანი წლებიდან, რაც იმ დროის კულტურის სფეროს დანესებულეების პარალელურად აღმოცენებულ საწყის მხატვრულ შემოქმედებაზე დაკვირვებით გადავწყვიტეთ. ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ვიფარაოდოთ, ატარებდა თუ არა აქ წარმოდგენილი ყველა მხატვრული ქმედება არსებითად, შეგნებულად პოლიტიკურ ხასიათს. თუმცა, მათი გამოჩენის მომენტისათვის არსებულ კონკრეტულ ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში მოქცევით, ჩვენ შეგვიძლია მათ ამგვარად მოვუპყროთ. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის პროეილისა და შეზღუდული რესურსების გამო, ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოვლენის სიღრმისეული კვლევის ჩატარება, მაგრამ იმედი ვვაქვს, რომ აქ წარმოდგენილი თემის ადგილობრივი მკვლევარების მიერ შემოწმდება, გაანალიზდება და შემდგომ გაფართოვდება.

13 ამ მოსაზრებას იზიარებს რამდენიმე გამოკითხულთაგანი.

14 ნინი ფალავანდიშვილის აზრით.

სფეროში საკმაოდ ხილვადია, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის და საჯარო სივრცის შენარჩუნების კუთხით მიმდინარე მოვლენების ფონზე; აქ ის აქტივობები იგულისხმება, რომლებიც მიმართულია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ვაკის პარკის, გუდიაშვილის მოედნის, საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს გადარჩენის და ხუდონის ჰიდრო-ელექტრო სადგურის წინააღმდეგ. ეს ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ, გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის საკითხებთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკაზე, ისევე როგორც დამოუკიდებელი კულტურის ოპერატორების სტატუსის გაუმჯობესების თემაზე, წარმოადგენენ კულტურის სექტორის მეორე ნაწილს. მათი საქმიანობა განსაზღვრავს ახალი ტიპის სამოქალაქო ჩართულობის ასპარეზს, კულტურისა და პოლიტიკის ფართო გავრცელებით ურთიერთგადაფარვების აქცენტრებით, ანუ, ხელოვანებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობას ფართო მნიშვნელობის სოციალური საკითხების განხილვებში.

ისტორია

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით,¹⁵ მხატვრულ-კულტურული საქმიანობის პირველი დოკუმენტირებული მსცდელიობა, რომელიც სახელმწიფო კულტურის დანერგულებების მიღმა განხორციელდა, დაკავშირებული იყო 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისის თბილისის ხელოვნების საზოგადოების წევრებთან.¹⁶ შტეფან რუსუს თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობდა საზოგადოების დემოკრატიზაციის კამპანიაში ჩართვა, რასაც საქართველოში (როგორც მთელ საბჭოთა კავშირში) ინტენსიურად უწყობდა ხელს საბჭოთა კავშირის მედია, შემოქმედებითი საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილის ინტერესი ხელოვნების შექმნის და წარმოჩენის ალტერნატიული ასპექტებისკენ იყო მიმართული. რუსუ წერს: „ფაქტობრივად, ხელოვანები გამოვიდნენ საკუთარი სივრცითი ინტიმურობიდან/

15 შტეფან რუსუ, „თბილისის ტური“ [Tbilisi Guided Tour] (რეგიონი) შესრულებულია პროექტისთვის „სივრცეები“ (2013).

16 ჯგუფებმა, როგორცაა მე-10 სართული და მარჯანიშვილის სახელოსნო, მოღვაწეობა დაახლოებით 1986 წ დაიწყეს (ნინო ფალავანიშვილი).

სამუშაო სივრცეებიდან და ურბანული სივრცის ათვისება დაიწყო, პირობითობის მიღმა, რაც საბოლოო ჯამში გადაიქცა ურბანულ ინტერვენციებად: ქუჩაში, მიტოვებულ მაღაზიებსა და დაუმთავრებელ შენობებში.”¹⁷ ეს იყო საჯარო სივრცეებში კულტურის წარმოების ახალი ეპოქის დასაწყისი, რომელსაც დასაბამი იმდროინდელი საქართველოს ხელოვნების სფეროს ძირითადმა წევრებმა ჩაუყარეს, მათ შორის, ნიკო ცეცხლაძემ, მამუკა ჯაფარიძემ, კოკა რამიშვილმა, მამუკა ცეცხლაძემ, ოლეგ ტიმჩენკომ, ირაკლი ჩარკვიანმა, კოტე ყუბანეიშვილმა და კარლო კაჭარავამ.¹⁸

დღევანდელი გადმოსახედიდან, ურბანულ გარემოში ამ მხატვრულ „გარღვევას“ შეიძლება პოლიტიკური მნიშვნელობაც მიეკუთვნოს, ხოლო ამ ხელოვნებს საჯარო სივრცის პრობლემატიკის¹⁹ პიონერები ენოდოთ, როგორც ამას შტეტვან რუსუ გვთავაზობს. ალტერნატიულად, მათი ნამუშევარი შეიძლება შეფასდეს როგორც უბრალო მცდელობა, რომ კოლექტიური მხატვრული გამოხატვისთვის შეექმნათ დროებითი სტრუქტურა ხელოვნების ოფიციალური სისტემის და საბჭოთა სახელმწიფოს წელი დაშლის ფონზე. ერთი რამ აშკარაა: მეგობარ-მხატვართა ჯგუფი შეიკრიბა ახალი შესაძლებლობების გამოსაცდელად.

როდესაც საუბარია სოციალისტური რეჟიმების დაშლაზე, რასაც ინსტიტუციების რღვევა მოჰყვა, ზოგიერთი თეორეტიკოსი²⁰ აღნიშნავს მეგობართა, კონფიდენციალური გაერთიანებების შექმნას, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში გარდამავალი პერიოდის

17 შტეტვან რუსუს კვლევის თანახმად.

18 იქვე.

19 საბჭოთა კონტექსტის აღწერისას, საჯარო სივრცის კონცეფცია საჭიროებს ხელახალ შესწავლას. „დასავლეთ ევროპის და ანგლო-ამერიკული აკადემიური დისკურსის ფარგლებში საჯარო სფეროს ცნება დიდწილად უკავშირდება ლიბერალიზმის და სამოქალაქო საზოგადოების გაჩენას. იმ თეორიებშიც კი, რომლებიც იურგენ შპებერმასის საჯარო სფეროს ცნებას აკრიტიკებენ, გამოირიცხვის და ჩართვის პოლიტიკის იგნორირების გამო, საჯარო სივრცეები მოიაზრება როგორც ასპარეზი, სადაც იდენტობა წარმომადგენლობითობას აღწევს: საზოგადოებრივი სფერო აქ ლეგიტიმიზაციის არსებული სტრუქტურების ფარგლებში იდენტობის აღიარებისა და წარმომადგენლობის ბრძოლის ველს წარმოადგენს. დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების გარემოებებიდან რადიკალურად განსხვავებულ პირობებში განვითარებულ სოციალისტურ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი სფეროს ცნება საჭიროებს სახელმწიფოსთან მიმართების განსხვავებულ კონცეფციასა და იდენტიფიცირებას.“ ანჟელა შარუტუინიანი: „საჯარო სფეროს გააზრება: საკონსტიტუციო სახელმწიფო და ACT ჯგუფის მიერ სომხეთში პოლიტიკური ესთეტიკის დამტკიცება“ (2011), გამოქვეყნებული <http://www.intellectbooks.co.uk/journals/view-Article,id=15050/> ნანახია: აპრილი 2014.

20 თავი ტორისიანი, ვიქტორ მისიანი და სხვები.

დამახასიათებელ მოვლენას. ვიქტორ მისიანო წერს, „ინსტიტუციური, იდეოლოგიური და მორალური ვაკუუმის დროს, კულტურა მეგობრობისათვის ბოლო თავშესაფრად გადაიქცევა. აღმოსავლეთ ევროპაში ინსტიტუციური და სიმბოლური დაშლის პირდაპირი შედეგი შემოქმედებითი პრაქტიკის ნებისმიერი ობიექტური გამართლების კრიზისში გამოიხატა.... კონფიდენციალური საზოგადოების წარმოქმნა სოციალური ტრანსფორმაციის გიჟურ დინამიკაზე პირდაპირი რეაქციაა.“²¹

შედარებით ნაკლებად ორგანიზებული მეგობრების ჯგუფებიდან უფრო ფორმალიზებულ ორგანიზაციებზე გადასვლა თანდათანობით მოხდა. ერთის მხრივ, კულტურის პროექტების მხარდასაჭერად სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გამოყოფილი თანხების გარდა არ არსებობდა სხვა დაფინანსების წყაროები. ადგილობრივი ხელოვნების ბაზარი შედარებით განუვითარებელი იყო, „ძირითადად წარმოადგენდა მხატვრებსა და ნამუშევრებს, რომლებშიც, ფორმალური პერსპექტივიდან, განსაკუთრებით გამოირჩეოდა კომერციული თვისებები (როგორცაა ხაზი, ფერი, ზედაპირის გრაფიკა და ა.შ.).“²² მეორეს მხრივ, რეგიონში საგარეო დაფინანსების გამოჩენამ, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამასთან ერთად, ადგილობრივი კულტურის სფეროს მოღვაწეებს არასამთავრობო ორგანიზაციების სახით ჩამოყალიბებისკენ უბიძგა. თუმცა, კულტურის სფეროს სტრუქტურული ტრანსფორმაციის დასაწყისი უნდა განვიხილოთ ფართო სოციალური ცვლილებების და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გარემო გავრთიანებული მოქალაქეების პირველი ინიციატივების გამოჩენის ფონზე, რომლებმაც საქართველოში თანდათანობით შექმნეს სამოქალაქო საზოგადოება.²³

21 ვიქტორ მისიანო „მეგობრობის ინსტიტუციონალიზაცია,“ გამოქვეყნებული <http://irwin.si/texts/institutionalisation/> ნაწახი: მარტი 2014.

22 თავუი ტაროსიანი, „მეგობრობის კარტოგრაფირება - ხელოვნებისა და კულტურული სივრცის გამოწვევები თანამედროვე სოხეთში“ (2014). ნინი ფალავანდიშვილის შესაბამისად, იგივე ეხება საქართველოს კონტექსტს იმავე პერიოდში.

23 სახელმწიფო სისტემის მიმართ ზოგადად ნდობის დაკარგვით წარმოშობილმა პოლიტიკურმა საკითხებმა გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნა. უცხოური ფონდების არსებობამ მის აქტივობებს არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურით ჩამოყალიბების საშუალება მისცა (ნინი ფალავანდიშვილი).

1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება, ეკოლოგიურ საკითხებში ჩართულობის გაგებით, საკმაოდ „მწვანე“ იყო. იგი გაერთიანდა ხულონის პიდროლეექტროსადგურის მშენებლობის შესაჩერებლად (მისი მშენებლობის პროექტი ცოტა ხნის წინ განახლდა.) ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, ნაკრესი, შეიქმნა როგორც მწვანეთა პარტია. ზოგიერთის აზრით,²⁴ ეს იყო მოქალაქეთა მხრიდან ინტენსიური ორგანიზების დრო, რის შედეგადაც შეიქმნა პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები.²⁵

1993 წლისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდასაჭერად გაიხსნა საგრანტო სისტემა. თანხები თითქმის ექსკლუზიურად ღია საზოგადოება - საქართველოს (OSGF / სოროსის ფონდი) მიერ იყო მონაწილეობით, თავიდან, მოსკოვის ოფისიდან, ხოლო შემდგომ - თბილისის ოფისის მეშვეობით, რომელიც 1994 წელს დაარსდა.²⁶ ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იმ პერიოდში გამოჩნდა, კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი (CIPDD) დაარსდა 1992 წელს თბილისში. ის დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას. 1994 წელს დაარსდა კავკასიური სახლის კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი, განათლებისა და კულტურის სფეროში მომუშავე ინსტიტუტი, შექმნილი როგორც ჩრდილოეთ კავკასიის და საქართველოს კულტურებს შორის დიალოგის სივრცე. სოროსის ფონდის თბილისის ოფისის გახსნის დროისთვის (დღეს ცნობილია, როგორც OSGF), ის ქვეყანაში გრანტის უზრუნველყოფის ძირითად ორგანოს წარმოადგენდა, მისი მხარდაჭერით მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომლებმაც მხოლოდ მოკლე ვადით იმუშავეს.²⁷ ზოგიერთი წყაროს თანახმად,²⁸ 1990 წლის დასაწყისიდან საქართველოში რეგისტრირებულია 14,000 ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მათი უმეტესობა დღეს აღარ ფუნქციონირებს. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მონაცემთა

24 თბილისში მოღვაწე სოციოლოგ მიხეილ სვანიძესთან ინტერვიუს შესაბამისად.

25 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს ქვეყანაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის, რეგისტრაციის და ფუნქციონირების ძირითად საფუძველს.

26 დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ http://www.osgf.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=124/ ნანახია: მარტი 2014.

27 იქვე.

28 იხილეთ <http://dfwatch.net/in-georgia-ngos-are-looking-for-peoples-trust-34213/> ნანახია: მარტი 2014.

ბაზის მიხედვით დღეს 1500 არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, თუმცა, მონაცემთა ბაზა არ არის სრული. შეფასების მიხედვით, კულტურის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები არასამთავრობო სექტორის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენენ.²⁹

როგორც უკვე ვახსენეთ, დამოუკიდებელი კულტურის სფეროს ცვლილების აგენტად და სტრუქტურული ტრანსფორმაციის პოტენციურ მატარებელად ჩამოყალიბება, არსებული დომინანტური ინსტიტუციური (მასობრივი) კულტურის პარალელურად მიმდინარეობდა. კულტურის სფეროს ახალმა პრაქტიკამ მხატვრულ შემოქმედებაზე ტექნოლოგიების გავლენის ახალი ხედვა მოიტანა (ახალი მედია), რომელსაც სოციალურ და კულტურულ ასპარეზზე თანამედროვე კულტურის კონტექსტი შეაქვს (არაკომერციულ ფართებში ინტერდისციპლინარული ღონისძიებების და აქციების ჩათვლით) და წარმოადგენს ქსელების და კულტურის ორგანიზების ახალ ფორმებს. დამოუკიდებელი კულტურის სფეროს მოღვაწეები სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ საჯარო სივრცისთვის ბრძოლასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კულტურის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში.

საქართველოში ამგვარ მცირე ინიციატივათა მნიშვნელოვანი რაოდენობა ძირითადად თბილისის გარშემოა კონცენტრირებული. ისინი არარეგულარულად იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას, ძირითადად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან და თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრიდან, რომელიც ქალაქის მთავრობის ნაწილია.³⁰ ეს დამოუკიდებელი ინიციატივები ძირითადად საერთაშორისო დაფინანსებაზეა დამოკიდებული ერთობლივი პროექტების განხორციელების კუთხით, ან იღებენ გარკვეულ დაფინანსებას უცხოური ორგანიზაციებიდან ადგილობრივი წარმომადგენლობების მეშვეობით, მათ შორის, OSGF და სხვა კულტურის სფეროში

29 ზუსტი მონაცემები არ არსებობს, შეფასება განხორციელებულია კვლევაში ჩართული ადგილობრივი დამოუკიდებელი კულტურის სფეროს მოღვაწეების მიერ.

30 საქართველოს კულტურის სამინისტროსთან დამოუკიდებელ ექსპერტთა საბჭო სულ ახლახანს შეიქმნა. თუმცა, არ არსებობს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგეობის წევრების შესახებ, რომლებიც განაცხადებს ვანიხილავენ და ასევე, მათი არჩევის კრიტერიუმების შესახებ. საბჭო არარეგულარულად იკრიბება, მისი მუშაობა არ არის გამჭვირვალე (ს. ლაპიაშვილის შესაბამისად). გამჭვირვალობის ნაკლებობის შედეგად, დღემდე გაბატონებულია სამინისტროსთან ინდივიდუალური მიდგომა, პირადი კავშირების ან კონტაქტების საფუძველზე.

მოღვაწე უცხოური ინსტიტუტებისგან, როგორცაა გოეთეს ინსტიტუტი, ბრიტანეთის საბჭო, პერიოდულად ფრანგული ინსტიტუტი, შვეიცარიის განვითარების ფონდი, შვეიცარიის ხელოვნების საბჭო Pro Helvetia, სხვადასხვა საელჩოები და სხვა.

საქართველოში დამოუკიდებელი კულტურის სფეროს მოღვაწეები ფართო სპექტრს ფარავენ, დანყებული ვიზუალური ხელოვნებიდან, თეორიის, არქიტექტურის და ურბანიზაციის, დოკუმენტაციის და ადგილობრივი თანამედროვე კულტურის წარმოების არქივებით დამთავრებული.³¹

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები

ზოგიერთი აღნიშნული მოღვაწე რამდენჯერმე შეიკრიბა და ჩამოაყალიბა საერთო პლატფორმა, მათი პოზიციის გადახედვისა და გადამწყვეტილების მიმღებებისთვის (პირველ რიგში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) ერთობლივი მიმართვის შემუშავების მიზნით და იმის თხოვნით, რომ გათვალისწინებულნი იყვნენ ქვეყნის კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებში. მათი მოთხოვნები ძირითადად კულტურის ღონისძიებების დაფინანსებაში პრიორიტეტების განსაზღვრასა და საჯარო თანხების გამოყენების გამჭვირვალე პროცედურების შემოღებას მოიცავდა. მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა რამდენიმე მიზეზის გამო. მათ შორის აღსანიშნავია თავად მოღვაწეებს შორის კონცეპტუალური უთანხმოება, ოფიციალურ პირებთან ინდივიდუალური მიმართვის არსებული პრაქტიკა (პროცედურების გზის ავლით) და 2012 წლის დასასრულს ხელისუფლების შეცვლა, რასაც შედეგად სამინისტროს შიდა ცვლილებები მოჰყვა.

31 ამ ინიციატივების მავალითებს წარმოადგენენ ურბან რეაქტორი, გეოვარი, ფონდი TRAM (Transform Art Module), საზოგადოებრივი ხელოვნების პლატფორმა, ახალი ცოდნის დიზაინ-ლაბორატორია, კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორია, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი - თბილისი, თბილისის ჰამფარი, SOVLAB, არტისტერიუმი, AIRL და თბილისი სტუდია, აქტიური კულტურისთვის, პარტიზანული მებაღეობა თბილისი, სოციალური ფოტოგრაფიის ფონდი კავკასიაში, მწვანე მუშტი, კავკასიური სახლი, უსაფრთხო სივრცე თბილისი, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, მწვანე ალტერნატივა, გალერეა ნექტარი, ჯგუფი ბულიონი, DontheC და სხვები.

2012 წლის მაისში და ივნისში, კულტურის სფეროს მოღვაწეთა უმრავლესობის შეკრების კიდევ ერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი, რომელიც ინიცირებული იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, გეოეარის მიერ, ჰროეექტ „სივრცეების“ ფარგლებში. შეხვედრაზე თბილისიდან დაახლოებით ათი კულტურის ინიციატივა (გეოეარი, ახალი ცოდნის დიზაინ-ლაბორატორია, კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორია, TRAM, ICOMOS საქართველო, პლატფორმა საჯარო ხელოვნება, ურბან რეაქტორი და სხვები) და რამდენიმე უცხოური დამოუკიდებელი ორგანიზაცია იქნა მოწვეული, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, რომლებმაც საკითხით მნიშვნელოვანი დაინტერესება გამოავლინეს.

რამდენიმე პრობლემა და საჭიროება დაუყოვნებლივ განისაზღვრა:

- დამოუკიდებელ მოღვაწეებს/სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგის ნაკლებობა;
- კულტურის სფეროში სამთავრობო პოლიტიკის გამჭვირვალობის ნაკლებობა;
- თანამედროვე კულტურის საკითხების ექსპერტთა საბჭოს არარსებობა - დამოუკიდებელი კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საპროექტო წინადადებების შეფასებაზე და რომლის გადანყვეტილებების განხორციელება სამინისტროსთვის სავალდებულო იქნება; დამოუკიდებელ ჯგუფებს და სამინისტროს შორის შუამავალი სტრუქტურების არარსებობა;
- დაფინანსების დეფიციტი, არასაკმარისი სამუშაო ადგილები, კულტურის მენეჯერებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების (თეორია) და ტრენინგების (პრაქტიკა) ნაკლებობა. იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქის ფარგლებში ამჟამად არსებობს საჯარო საკუთრებაში მყოფი ვაკანტური ფართები, რომელიც შეიძლება ახალი კულტურის აქტივობებისთვის იქნას გამოყენებული, აღინიშნა ამ ფართების ადმინისტრირების მიზნით უფრო ფართო სამთავრობო სტრატეგიის შემუშავების საჭიროება;

- დამოუკიდებელი ასპარეზის ფარგლებში თანამშრომლობის საჭიროება: დამოუკიდებელი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც დამოუკიდებელი ასპარეზის ორგანიზებით დაკავდება და იმუშავებს დამოუკიდებელი მოღვაწეებისთვის შესაბამისი პოლიტიკის შექმნაზე (მონაწილეებმა ისაუბრეს სამშლიანი სტრატეგიის შექმნაზე, რომელსაც ექნება მონაწილეობითი ხასიათი და საერთო ხედვის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მისაღებად მოიზიდავს მოსახლეობას); ეს არის პროცესი, რომელშიც სამთავრობო უწყებების ჩართულობა აუცილებელია;
- კარგი გამოცდილების გაზიარების და რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე კავშირების შექმნის საჭიროება;
- სავადასახადო სისტემის გადახედვა ალტერნატიულ დაფინანსებაში კერძო სწარმოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.

ერთ-ერთ უშუალო მიზნად (სამუშაო ფართების საჭიროების განსაზღვრის შედეგად), მონაწილეებმა „კულტურის ინკუბატორის“ იდეა აღიარეს - სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ფიზიკური სივრცე დამოუკიდებელი ორგანიზაციების კოალიციას უნდა გადაეცეს ერთნაირი ექსპერიმენტის სახით. ეს იქნება თვითორგანიზებული, ჰორიზონტალური ინიციატივა, კერა, რომლის შექმნაშიც ყველა მონაწილე საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების ფარგლებში შეიტანს წვლილს, დაწყებული არქიტექტურისა და ურბანული ხელოვნების თეორიიდან, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურის პოლიტიკის სწავლების, ფანდრაიზინგის და ქსელური სტრატეგიების ჩათვლით. ის ფართო საზოგადოებასთან გაზიარებული იქნება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით. ეს იქნება ღია სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული პირებისათვის და მოიცავს მოხალისეებს.

ამ შეხვედრის შედეგად დაინერა ერთობლივი განზრახვის წერილი, რომელიც შეიცავდა ზემოთ აღნიშნულ საკითხებს და გაეგზავნა კულტურის მინისტრს. მას შემდეგ, გაიმართა შეხვედრა სამინისტროში კულტურის იმუამინდელ მინისტრთან, მაგრამ პოლიტიკური ცვლილების გამო, რომელიც მალევე მოხდა (2012 წლის ოქტომბერში), მოლაპარაკებები დროებით შეწყდა.³²

³² თუმცა, ინკუბატორის ჯგუფმა განაკრძო მუშაობა კულტურის დაფინანსების სისტემის გაუმჯობესების სხვადასხვა მოდელებზე, რომლებიც დამოუკიდებელ კულტურულ ასპარეზს უფრო ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, რამდენიმე მცდელობა გაკეთდა დამოუკიდებელ ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს შორის დიალოგის გასაგრძელებლად. 2013 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გახსნა კარი კულტურის სფეროს არასამთავრობო სექტორისა და დამოუკიდებელი სპეციალისტებისთვის, საფუძველი ჩაუყარა დარგობრივი კომიტეტების განვითარებას, რომლის წევრებიც არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იყვნენ, გარდა ამისა, გამოაცხადა მხატვრული პროექტების კონკურსები. 2013 წლის ივლისში შეიქმნა კულტურის პოლიტიკის შემუშავების კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ. კომიტეტმა ექვსი თვის განმავლობაში იმუშავა და შექმნა საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფცია. თუმცა, 2013 წლის დეკემბერის შემდეგ, კულტურის სამინისტროში განხორციელებული მკვეთრი ცვლილებების გამო, კულტურის პოლიტიკის კონცეფციის შემდგომი განხილვა და განხორციელება გადავადდა.³³

დოკუმენტის შექმნის მომენტისათვის საქართველოში საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაცვის თვალსაზრისით სიტუაცია საკმაოდ დრამატულად გამოიყურებოდა. მასში ზოგიერთი კულტურის სფეროს ორგანიზაცია იყო ჩართული. მიმდინარე სამოქალაქო აქტივიზმის ძირითადი აქცენტი კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს ეხება. არსებობს საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალარო და არქეოლოგიური ძეგლი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გააუქმა მისი დაცვის სტატუსი და გადასცა კერძო კომპანიას, რომელიც გეგმავს ოქროს მალაროს გააქტიურებას,

33 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გადაწყვეტილების მიღებისას გამჭვირვალობის ნაკლებობის საილუსტრაციოდ, აღსანიშნავია, 2014 წლის თებერვალ-მარტის კიდევ ერთი საკამათო ღონისძიება, რომელიც ვენეციის მე-14 არქიტექტურის ბიენალეზე საქართველოს მონაწილეობას ეხებოდა. საერთაშორისო და ქართველი პროფესიონალებისგან შემდგარმა დამოუკიდებელმა ჟიურიმ დამოუკიდებელი, ინტერდისციპლინარული ჯგუფის მიერ შეტანილი ორი განაცხადი შეარჩია, Tbilisi In/ Sights (1), რომელსაც დაემატა სარკის ფასადი (ხათუნა ხაბულიანის პროექტ Transforming Georgia-ს ნაწილი) (2). პროექტები შეირჩა 2014 წლის ვენეციის არქიტექტურის ბიენალეზე საქართველოს მონაწილეობისთვის. თუმცა, შემდგომ, სამინისტრომ, ჟიურის ნების საწინააღმდეგოდ, მთელი რიგი ვაუმჭვირავლე, საკამათო ნაბიჯები გადადგა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ორივე პროექტის გუნდს. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საბოლოოდ გადაწყვიტა ბიენალეზე საქართველოს მონაწილეობა გაეუქმებინა. დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილოთ <http://art-leaks.org/2014/03/23/tbilisi-insights-collective-statement/> ნანახია: ივნისი 2014.

ძეგლის ისტორიული ფენების განადგურებით.³⁴ ვარდა ამისა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ დამალა ურბანული განვითარების საბჭო. სამოქალაქო სექტორმა ეს აქტი აღიქვა, როგორც თბილისის საერთო კულტურული მემკვიდრეობის პოტენციური საფრთხე; რაც მასზე საჯარო კონტროლის სრულ დაკარგვას გულისხმობდა. მას შემდეგ, რაც სამინისტროში რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი ამ მოვლენების გამო გადადგა და საპროტესტო აქციას შეუერთდა,³⁵ მოქალაქეებმა და კულტურის სფეროს პროფესიონალებმა მოითხოვეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ოფიციალური გათავისუფლება მათი ქმედებების გამო, რომლებიც როგორც ჩანს, საზოგადოების უნდობლობის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეების საუკეთესო ინტერესებში ვერ ენერგობდა.

ურბანული ბრძოლები³⁶

წლების მანძილზე დაურეგულირებელმა ქალაქგეგმარებითმა, სამშენებლო და აგრესიულმა საპრივატიზაციო პოლიტიკამ თბილისის საზოგადოებრივი სივრცეების მკვეთრი შემცირება და კომერციალიზაცია განაპირობა. წლების მანძილზე, პარკები და სკვერები მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული, თუ სხვა ტიპის მშენებლობების არეალად იქცა, ტროტუარები და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი სივრცეები უსისტემო მიშენებებმა ჩახერგა და სამანქანო ტრანსპორტის პარკირების ადგილებად იქცა. ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების ნაწილი ძვირადღირებულმა სასტუმროებმა, სავაჭრო და კომერციული დანიშნულების ობიექტებმა ჩაანაცვლა.

34 ლალი პერტენავასთან 2014 წლის გაზაფხულზე ჩატარებული ინტერვიუს თანახმად.

35 არსებობს სერიოზული ნიშნები, რომ მარინე მიზანდარი, კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე სამსახურიდან გაათავისუფლეს საყდრისთან დაკავშირებით მისი პოზიციის გამო. იხილეთ სტატია <http://www.dw.de/ancient-site-pits-locals-against-big-business-in-georgia/a-17566583/> ნანახია: მაისი 2014.

36 ეს თავი მოწოდებულია 2014 წლის ივლისში, თბილისში მოღვაწე ურბანული აქტივისტის, ნანო ზაზანაშვილის მიერ.

სოციალურ-კულტურული თუ ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის მოქალაქეების ინდიფერენტული დამოკიდებულება საჯარო სივრცეებისა თუ კულტურული მემკვიდრეობის განადგურების ფაქტებზე. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მოქალაქეების ინტერესი და აქტიურობა სულ უფრო მეტად შეიმჩნევა ამ კუთხით. მართალია წელა, მაგრამ მაინც იზრდება თვითორგანიზებული საზოგადოებრივად აქტიური ჯგუფების რიცხვი და პროტესტი ქალაქში დაგროვილი პრობლემების მიმართ. ამ მხრივ გუდიაშვილის სკვერის დასაცავად დაწყებული კამპანია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია.

2011 წელს ქალაქის ხელისუფლების ხელშეწყობით საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიამ თბილისის ისტორიულ ცენტრში არსებული მოედნისა და მის ირგვლივ მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტი დაიწყო. იგი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე ისტორიული ნაგებობების ახალი, საუაჭრო და კომერციული დანიშნულების მრავალფუნქციური შენობებით ჩანაცვლებას გულისხმობდა. ამ გადაწყვეტილებას 2011 წელს მოქალაქეების მხრიდან საპროტესტო რეაქცია მოჰყვა. კამპანიის ძირითად მოთხოვნას ისტორიული შენობების პირვანდელი სახით დაცვა-გამაგრება და მოედნის არაკომერციული საზოგადოებრივი ფუნქციით შენარჩუნება წარმოადგენდა. თავად საპროტესტო კამპანია მკვეთრად განსხვავდებოდა თავისი მასშტაბით, ორგანიზებულობითა და პროტესტის გამოხატვის შემოქმედებითი ფორმით. პატარა მოედნის მყუდრო სივრცე სამი თვის მანძილზე გამართული საპროტესტო ღონისძიებების ადგილად იქცა, რომელთა ფარგლებშიც კარგად იქნა გამოყენებული თავისუფალი და ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი სივრცის შესაძლებლობები. ამ აქციების ფარგლებში მოედანი მრავალფეროვანი თვითორგანიზებული კულტურის ღონისძიებების ცენტრად იქცა. აქციების უჩვეულო საკარნავალო განწყობამ და მოედნის სიმყუდროვემ სხვადასხვა ასაკის, შეხედულებების თუ გემოვნების არაერთი ადამიანი მოიზიდა და გააერთიანა. ასევე, მისცა ბიძგი საქალაქო ცხოვრებაში საჯარო სივრცეების მნიშვნელობასა და მასში მიმდინარე პროცესების თავისებურებებზე მსჯელობას.

მოსახლეობის აქტიურობისა და 2012 წელს საქართველოში მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად საინვესტიციო პროექტი შეჩერდა. თუმცა, სკვერის მიმდებარე დაცარიელებული შენობების გამაგრება დღემდე არ მომხდარა. აქტივისტების ერთი ნაწილი ამ დრომდე აგრძელებს შენობების გადასარჩენად ბრძოლას ახალი საპროტესტო თუ სხვა სახის ღონისძიებებით.

თბილისის მწვანე საზოგადოებრივი სივრცისთვის ბრძოლის კიდევ ერთი მაგალითი 2013 წელს თბილისის ერთ-ერთი დიდი პარკის მწვანე საფარის დასაცავად დაწყებული კამპანიაა. მწვანე აქტივისტთა ჯგუფმა, ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. ეს მოძრაობა პროტესტის ფორმის თვალსაზრისით, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანია. კამპანიის დასაწყისში მოხალისეთა ჯგუფმა სამშენებლო მოედნის სიახლოვეს ბანაკი მოაწყო და მუდმივი მორიგეობა დააწესა. ქალაქის სხვადასხვა საჯარო სივრცეში აქციების პარალელურად, პარკში სისტემატიურად იმართება კულტურის ღონისძიებები და საჯარო დისკუსიები. მოხალისეები რგავენ ქალაქში ხეებს და ამ გზით ცდილობენ ქალაქის ხელისუფლებისა და მოსახლეობის ყურადღების გამახვილებას ქალაქში ეკოლოგიის კუთხით დაგროვილ პრობლემებზე. ბანაკი ერთ-ერთი ყველაზე მყუდრო ადგილია პარკში და მრავალ ტურისტს იზიდავს. ამ აქტიურობის შედეგად დროებით მოხერხდა სასტუმროს მშენებლობის შეჩერება, თუმცა, აქტივისტები აგრძელებენ ბრძოლას, რათა სამართლებრივი გზით მოახდინონ გავლენა ქალაქის ხელისუფლების საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

აღსანიშნავია, რომ გუდიაშვილისა და ვაკის პარკის მოძრაობების შემთხვევაში შეიცვალა საპროტესტო აქციების ხასიათი. თუ ადრე სოციალურად აქტიური ჯგუფები საქალაქო სივრცეებში საკუთარი საპროტესტო განწყობების ერთჯერად გამოხატვას სჯერდებოდნენ, დღეს ისინი ნელ-ნელა ცდილობენ გრძელვადიანი, თანმიმდევრული ნაბიჯებით რეალური გავლენა მოახდინონ საბოლოო გადაწყვეტილებაზე. ასევე, გარდაქმნან საზოგადოებრივი სივრცეები იმგვარად, რომ მოქალაქეებმა მათი მნიშვნელობა და უფრო აქტიური გამოყენება დაიწყონ.

არც გუდიაშვილის მოედანი და არც ვაკის პარკი თბილისის ისტორიულ და მწვანე ზონებში მსხვილმასშტაბიანი და უხეში ჩარევის ერთჯერადი მაგალითები არ არის. ამდენად, ამ ეტაპისთვის მნიშვნელოვანია პრობლემების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება. რადგან დაუბალანსებელი ქალაქგეგმარებითი და საპრივატიზაციო პოლიტიკის, ასევე, ქალაქის განვითარების გრძელვადიანი ხედვის არარსებობის პირობებში საჯარო სივრცეები და კულტურული მემკვიდრეობა მუდმივად იქნება განადგურების საფრთხის წინაშე.

რეკომენდაციები და
დამოუკიდებელი
კულტურის სფეროში
მოვლენათა განვითარების
შესაძლო ვარიანტები

ეს მოკლე კვლევა ორიენტირებულია კულტურის სფეროში ახალ, განვითარებად პრაქტიკებზე, რომლებიც „დამოუკიდებელი კულტურის ასპარეზის“ ეგიდის ქვეშ ერთიანდება. ოთხ ქვეყანაში სიტუაციის განხილვამ ორი გადაუდებელი საჭიროება გამოააშკარავა: დამოუკიდებელი კულტურის მოღვაწეების თვითკონცეპტუალიზაციის / თვითგამორკვევის საჭიროება და სამთავრობო პოლიტიკაზე ზეგავლენის საჭიროება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მისი გამჭვირვალობა და აღიარებულ იქნას ახალი, განვითარებადი კულტურის სფეროს პრაქტიკები და მოღვაწეები. შესაბამისად, ამ ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები ორ დონეს ეხება: დოკუმენტი შეიცავს რეკომენდაციებს დამოუკიდებელ კულტურის ასპარეზად ცნობილი თვითორგანიზებული საზოგადოებების წევრებისათვის და რეკომენდაციებს სამთავრობო უწყებებისათვის.

I. რეკომენდაციები დამოუკიდებელი კულტურული სფეროს მოღვაწეებისათვის

- საჭიროა დამოუკიდებელი კულტურის სფეროს მოღვაწეების ადგილობრივ დონეზე გაერთიანება საერთო ხედვის განსასაზღვრად, რომელიც კოლექტიურ ქმედებას დაედება საფუძვლად;
- საჭიროა განისაზღვროს საერთო ფასეულობები საერთო მისიის ჩამოყალიბების მეშვეობით;
- მათ უნდა იმოქმედონ უფრო დიდი ორგანიზაციული პლატფორმებიდან, ისეთი როგორცაა ალიანსები და კავშირები და პლატფორმების ფარგლებში ჩამოაყალიბონ ჰორიზონტალური გადაწყვეტილების მიღებისა და გაცვლის მექანიზმები;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სპეციფიური

პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, მათი არასტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტებითა და პროცედურებით, არსებობს საერთო მოსაზრება, რომ დამოუკიდებელმა ასპარეზმა თავად უნდა მიაღწიოს მდგრადობას თვითრეპროდუქციული მოდელის შექმნის გზით, რათა მოლაპარაკების უფრო ხელსაყრელი პოზიცია დაიმკვიდროს. დამოუკიდებელი მოღვაწეების ეკონომიკურ და სოციალურ სუბიექტებად აღიარების შემდგომ, მათი შესაბამისობა არ უნდა იქნას იგნორირებული გადანყვეტილების მიმღებების მიერ;¹

- დამოუკიდებელი ორგანიზაციების საქმიანობა საჭიროებს უფრო გრძელვადიან (სამი წელი) სტრატეგიულ დაგეგმარებას;
- დამოუკიდებელი მედიის პლატფორმები (ვებგვერდები), რომლებიც მოიცავს და ანალიზებს კულტურის თემატიკას ფართო სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში, უნდა იმართებოდეს დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთარი სარედაქციო პოლიტიკა;
- საჭიროა უკეთესი საჯარო ხილვადობის დამკვიდრება, ადგილობრივად და საერთაშორისო დონეზე, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში მეტი სტატიების, კომენტარების განთავსების და ღებატებში მონაწილეობის მეშვეობით;
- საჭიროა რეგიონული დამოუკიდებელი კულტურის ორგანიზაციების შეკრება (დედაქალაქის გარეთ) და შიდა რეგიონული კავშირების შექმნა გაცვლით პროგრამებზე და მსგავს პრაქტიკებზე დაფუძნებული კოლაბორაციული ქსელების ჩამოყალიბების გზით;

1 უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ დამოუკიდებელი ასპარეზის საქმიანობის საერთო კომერციალიზაციაზე და არც ზოგადად მის მოვების მიმღებ ერთეულად გადანყობაზე. ეს დებულება დამოუკიდებელ სფეროში კონკრეტულ გამოცდილებაზე დაფუძნებით შეიქმნა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიად უგულებელყოფილი და იგნორირებულია სახელმწიფო ორგანოების და სახელმწიფო ფონდების მიერ. ეს დებულება გამომდინარეობს დამოუკიდებელი ასპარეზის გადარჩენისა და საქმიანობის გაგრძელების აუცილებლობიდან, რაც კომერციული მომსახურების განვითარებასაც გულისხმობს. მაგალითად, ICA ვრეგანმა შეიცვალა სტატუსი და არასამთავრობო ორგანიზაციიდან გადაიქცა ფონდად, რომ ვარკვეული კომერციული საქმიანობის განვითარება შეძლებოდა, როგორცაა გამოშვებულია, ვანათლებისა და მართვის მომსახურებები. ICA და Utopiana. am ასევე, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც ახალი თაობის კულტურის ოპერატორების განათლების ცენტრები, სთავაზობენ რა მათ კონკრეტულ სასწავლო მოდულებს, როგორცაა საკურატორო სკოლა და ახალი მედიის ლაბორატორიები, ამ გზით ხელს უწყობენ დარგის თვითგანახლებას.

- მათ უნდა ჩამოაყალიბონ საერთო მოკლე და გრძელვადიანი პრიორიტეტები და მონაწილეობა მიიღონ საერთო ადვოკატირების კამპანიებში;
- დამოუკიდებელი კულტურის სექტორმა უნდა გააფართოვოს ბრძოლა ალიარებისათვის, საჯარო სფეროს დაბრუნების საერთო მიზნით გაერთიანებულ უფრო ფართო პოლიტიკურ და სამოქალაქო ბრძოლაში ჩართვის მეშვეობით. კულტურის სფეროში ცვლილებების მოთხოვნა პოლიტიკურ ხასიათს უნდა ატარებდეს, მიმართულს პოლიტიკური მნიშვნელობის მოპოვებაზე.

II. რეკომენდაციები სამთავრობო უწყებებისათვის

- გადაიხედოს არსებული ან შეიქმნას ახალი ეროვნული კულტურის პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებს კულტურის სფეროში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს და ახალი და განვითარებადი დამოუკიდებელი კულტურის პრაქტიკების ფართო სპექტრს (ურბანული კულტურა, ახალი მედია, ახალგაზრდობა). ეს პრაქტიკები უახლესი ტექნოლოგიების და ურბანული ტრანსფორმაციის პროცესების ფონზე უნდა იქნას აღქმული და სპონტანურ სოციალურ-კულტურულ ინიციატივებსა და სოციალური ინტეგრაციის პროცესებში წვლილის შემტან ფაქტორებად შეფასებული. სტრატეგიის გადახედვა ან ხელახალი შემუშავება სამოქალაქო საზოგადოების / დამოუკიდებელი კულტურის ასპარეზის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა გაკეთდეს. შესაბამისად, საქართველოს კულტურის სამინისტროში სტრუქტურული ცვლილება ჩასატარებელი. დასაარსებელია ახალი საბჭო დამოუკიდებელი, ინიციატიური კულტურული და მხატვრული პრაქტიკის საკითხებზე სამუშაოდ. ახალი საბჭოს დასახელება და საქმიანობის სფერო უნდა განისაზღვროს შესაბამისი კონტექსტისა და ახლად აღმოცენებული დამოუკიდებელი კულტურის ასპარეზის

საჭიროებებიდან გამომდინარე;²

- შეიქმნას კულტურის სფეროში გადანაცვეტილების მიღების გამჭვირვალე მექანიზმები;
- სახელმწიფო დაფინანსებისთვის საპროექტო განაცხადების კონკურსის დოკუმენტი უნდა იყოს ზუსტად ფორმულირებული და კულტურის სამინისტროს ვებგვერდზე ადვილად ხელმისაწვდომი;
- კონკურსი უნდა ცხადდებოდეს კონკრეტულ დისციპლინებში და კულტურის სფეროებში (სახვითი ხელოვნება, თეატრი და პერფორმანსის ხელოვნება, მუსიკა, საგამომცემლო, ინოვაციური კულტურული და მხატვრული პრაქტიკა და ა.შ.) და კულტურის სამინისტროს მიერ წინასწარ დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად. საქმიანობა უნდა წარიმართოს სხვადასხვა, დამოუკიდებელი საბჭოს, მათ შორის დამოუკიდებელი კულტურის საბჭოს მიერ. საბჭოები დამოუკიდებელი ექსპერტებისგან უნდა შედგებოდეს და უნდა ატარებდეს კროს-დისციპლინურ ხასიათს, დამოუკიდებელი კულტურის ტერმინით ყველა ზემოთ განსაზღვრული პრაქტიკის მოცვის მიზნით;
- კონკურსების გამოცხადება სასურველია გაკეთდეს 6 ან 12 თვით ადრე;
- გამოცხადებული კონკურსების ბიუჯეტი წინასწარ უნდა განისაზღვროს და გასაჯაროვდეს;
- პროექტების წარმოდგენა უნდა ხორციელდებოდეს განაცხადის ფორმის მეშვეობით, რომელიც ოფიციალურ ვებგვერდზე ადვილად უნდა მოიპოვებოდეს. უნდა არსებობდეს წარმოდგენილ პროექტებზე კულტურის სამინისტროს რეაგირებისთვის განსაზღვრული ვადა. უკუკავშირი უნდა იყოს კანონით გარანტირებული და ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული;

2 ხორვატიაში კულტურის სამინისტროსთან პირველი ასეთი საბჭო, სახელწოდებით ახალი მუდის კულტურის საბჭო, 2004 წელს შეიქმნა. მოგვიანებით მისი სახელწოდება შეიცვალა კულტურის საბჭოდ, ინოვაციური მხატვრული და კულტურის პრაქტიკების საკითხებზე. კულტურის სამინისტროსთან კულტურის საბჭოები სამართლებრივად შეიქმნა მხატვრული და კულტურული შემოქმედების კონკრეტული სფეროებისთვის: კულტურული პოლიტიკის მიზნების და მათი განხორციელების გზების შესათავაზებლად, განსაკუთრებით, კულტურის სფეროში საზოგადოებრივი საჭიროების პროგრამების შესათავაზებლად, რომლებისთვისაც გათვალისწინებული იყო თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კულტურის საბჭოები შეიქმნა კულტურისა და ხელოვნების სფეროში გადანაცვეტილების მიღების პროცესზე კულტურის მოღვაწეებისა და ხელოვნების ზეგავლენის უზრუნველსაყოფად.

- დამოუკიდებელი კულტურის წარმომადგენლები მონაწილეობას უნდა იღებდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ეს უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების შექმნის მეშვეობით, რომლებიც ადგილობრივი კულტურის პროცესების განვითარებას გამოიკვლევენ. კვლევის შინაარსობრივი შედეგები უნდა აისახოს კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტში. დამოუკიდებელ მოღვაწეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება შესთავაზონ კანდიდატები ან/და არჩეულ იქნან დამოუკიდებელ საბჭოში მონაწილეობისთვის დამოუკიდებელი კულტურის საპროექტო განაცხადების შესაფასებლად. დამოუკიდებელი კულტურის საბჭოებს უნდა ჰქონდეთ განაცხადების შეფასების ავტონომია და მათი გადაწყვეტილება საქართველოს კულტურის სამინისტროსთვის სავალდებულო უნდა იყოს. დამოუკიდებელი კულტურის საბჭოს წევრები, პროცესში მათი ჩართულობისთვის, უნდა იღებდნენ სიმბოლურ ანაზღაურებას;
- კულტურის ღონისძიებების მხარდაჭერისთვის კერძო სექტორის ჩართვა ისეთი გარემოებების შექმნის გზით, როგორებიცაა ფონდები და მხოლოდ კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერით დაკავებული დანესებულებები და კორპორატიული სექტორისათვის კულტურის სფეროში ინვესტირების წამახალისებელი მექანიზმების შექმნა. ყველაზე აღიარებული ზომები მოიცავს კულტურის სფეროში საინვესტიციო სავადასახადო შეღავათის დანესებას, რაც ფისკალურ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას იწვევს;
- ახალი ჰიბრიდული საზოგადოებრივ-სამოქალაქო პარტნიორობის ინსტიტუტების შექმნა,³ რომლებიც პირდაპირ უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობას;

3 ამ ტიპის პარტნიორობის კარგი მაგალითია დამოუკიდებელი კულტურისა და ახალგაზრდობის ზაგრების ცენტრი (POGON), სამოქალაქო-საზოგადოებრივი პარტნიორობის ახალ მოდელზე დაფუძნებული საჯარო არასამთავრობო დანესებულება კულტურის სფეროში, რომელიც დაარსდა და იმართება, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი კულტურის ორგანიზაციების ალიანსის, Operation City-ს და მეორე მხრივ, ქალაქ ზაგრების მიერ. წინა წლებში ჩატარებული ადვოკატირების და აქტივობის შედეგად, POGON დღეისათვის ცნობილია, როგორც კულტურის დანესებულების ინოვაციური მოდელი, რომელიც დამოუკიდებელი თანამედროვე ხელოვნების და კულტურის პრაქტიკების წარმოების, პრეზენტაციისა და დამტკიცების მაღალი ხარისხის და სიმელო მომსახურებას, ავრთვე ზაგრების კულტურაში და სხვა საქმიანობებში ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას უზრუნველყოფს. დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, ეწვიოთ <http://www.upogoni.org/en/> ნახაზი: იენისი 2014.

- დამოუკიდებელი წარმოების მხარდასაჭერად შეიქმნას საწარმოო ცენტრები, ხოლო მათი პროგრამების პრეზენტაციების მოსაწყობად - მომსახურების ცენტრები. ჰიბრიდული ინსტიტუციური ტიპი, რომელიც მართავსა და კონტროლში მრავალი სხვადასხვა აქტორების ჩართულობას გულისხმობს, პროტექციონიზმისგან (რაც, უმრავლესობის აზრით, ძირითად საფრთხედ და კულტურის გამჭვირვალე სისტემის დამკვიდრების გაერთიანებული მცდელობის დაბრკოლებად არის მიჩნეული) დაცვის მყარ სტრუქტურულ ფორმას წარმოადგენს;
- შესაძლებელია ლატარიის ფონდის, როგორც დამოუკიდებელი კულტურის დაფინანსების წყაროს შექმნა. ამისათვის საჭიროა, ადგილობრივი საჭიროებების კონტექსტის შესაბამისად კონკრეტული დაფინანსების სქემების შემუშავება;⁴
- საჭიროა უწყებათაშორისი თანამშრომლობის წახალისება, რაც კულტურის სფეროში საქმიანობის განვითარებას ზოგადად სოციალურ განვითარების სტიმულად აქცევს. საჭიროა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების დამოუკიდებელი კულტურის ინიციატივებისთვის გრძელვადიანი იჯარით და მართვაში გადაცემა;
- საჭიროა ორმხრივი კულტურის გაცვლის შეთანხმებების მიღმა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება მხატვრების, დამოუკიდებელი კულტურისა და სხვა სფეროს სხვა მოღვაწეების მობილობის წახალისების მეშვეობით.

4 კარგი მაგალითია ფონდი Kultura Nova, რომელიც ცოტა ხნის წინ ზაგრებში დაფუძნდა. ფონდის შექმნა არის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მრავალწლიანი წარმატებული ინიციატივების შედეგი, რომლებიც ადვოკატირებას უწევდნენ კულტურაში სამოქალაქო სექტორისთვის სპეციალური ფონდის შექმნას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინიციატივა აღიარებული და მხარდაჭერილი იქნა კულტურის სამინისტროსა და მთავრობის წევრების მიერ, რომლებიც ფონდის დაარსების შემდეგ ვანაგრაძობენ მისი განვითარების ხელშეწყობას. ფონდი არ წარმოადგენს კულტურის სფეროში ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე არსებული დაფინანსების (რომლის შემგვობითაც აგრეთვე ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების კულტურის პროგრამების დაფინანსება) კონკურენტულ ან ალტერნატიულ წყაროს. Kultura Nova არის კულტურის ღონისძიებების დამატებითი დაფინანსების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში სამოქალაქო საზოგადოების სტაბილიზაციას და განვითარებას. კულტურის პოლიტიკის ხორვატიულ მოდელში, ეს ფონდი ისეთი ავტონომიური ორგანოს დაფუძნების მაგალითია, რომელსაც კულტურის სფეროში სამოქალაქო სექტორის ტენიკური და ფინანსური მხარდაჭერის საკითხის გადაწყვეტის პასუხისმგებლობა გადაეცა. Kultura Nova ხორვატიაში კულტურის სფეროში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პირველი ფონდია. ამგვარი ფონდის შექმნით, ხორვატიის მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროპის იმ ქვეყნების პრაქტიკის დამკვიდრებისკენ, რომლებიც კულტურის და შემოქმედებით სფეროებში დაფინანსების სისტემის სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით გაუმჯობესებას ცდილობენ. იხილეთ: <http://kulturanova.hr/> ნანახია: აგვისტო 2014.

3. რეკონსტრუქციები საჯარო სივრცეებთან მიმართებაში

წინა გვერდებზე წარმოჩენილი სამოქალაქო ურბანული ბრძოლის ფონზე, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში (და მათ ფარგლებს გარეთ) საჯარო სივრცესთან დაკავშირებული საკითხები პროექტ „სივრცეების“ ძირითად თემას წარმოადგენს. დისკუსიამ თეორიული მოსაზრებებიდან მათი გამოყენების, წარმოებისა და დაცვის საკითხებზე გადაინაცვლა.

პროექტ „სივრცეების“ ფარგლებში, „კიშინიოვის სამოქალაქო ცენტრი - წითელი ხაზების მიღმა“ [Chisinau Civic Center – beyond the red lines] პროგრამის ნაწილში ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციამ Oberliht, მონაწილე ექსპერტებთან თანამშრომლობით ჩაატარა რევიონული კონფერენცია კიშინიოვში სახელწოდებით „საჯარო სივრცეები პოსტ-სოციალიზმის პერიოდში: ჩართულობა, გამორიცხვა და მისი დაბრუნების პრაქტიკა“ [Public space in post-socialism: inclusion, exclusion and practices of its reclaiming] კონფერენციას, რომელიც 2014 წლის სექტემბერში ჩატარდა, დაესწრნენ მეცნიერები, არქიტექტორები, აქტივისტები, კურატორები და მხატვრები მოლდოვადან, უკრაინიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, მაკედონიიდან, ალბანეთიდან, პოლონეთიდან და უნგრეთიდან, რომლებიც სწავლობენ, იკვლევენ, ან აქტიურად არიან ჩართულნი საჯარო სივრცის სფეროში და უმეტესად დაკავშირებულნი არიან პოსტსოციალისტურ პერიოდში საზოგადოებრივი სივრცის აღმინისტრირებისა და რეკონფიგურაციის პრობლემებთან.

პრეზენტაციები შემდეგ საკითხებს შეეხო: ურბანული განვითარება და დეველპმენტები, „გალამაზება“, საჯარო სივრცეების დეგრადაცია და პრივატიზაცია, საჯარო სივრცეების დაბრუნების და დაცვის სოციალური მოძრაობები, საჯარო სივრცეებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების (რელიგიური უმცირესობები, მებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სექსუალური უმცირესობები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები) დაშვება და დაშვების მებლუდვა, პოსტსოციალისტურ სივრცეში საჯარო ფართების პოლიტიკა, კორუფცია და პრივატიზაციის პროცესში გამჭვირვალობის ნაკლებობა და საზოგადოებრივი ქონების

ადმინისტრირება, საჯარო ფართების სიმბოლური ან რელიგიური მითვისება.

აქტივისტებმა კომინოვიდან და რეგიონიდან წარმოადგინეს მაგალითები, როდესაც სამოქალაქო საზოგადოებამ, საზოგადოებრივმა მოძრაობამ და მოქალაქეთა სხვაგვარმა მობილიზებულმა ჯგუფებმა მოახერხეს ამ დაპყრობით პრაქტიკასთან შეწინააღმდეგება, მოქალაქეობის, სამოქალაქო იდენტობის და მონაწილეობის ცნებების განსაზღვრების შეცვლა.

დასკვნის ნაცვლად შემუშავდა რამდენიმე ქვემოთ მოცემული რეკომენდაცია:⁵

- სხვადასხვა აქტიური ჯგუფების და მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება საჯარო სივრცეების ადგილობრივი საზოგადოების და მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემაზე;
- ადგილობრივი აქტივისტების თეორიული ცოდნით და ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ დაეხმარება საჯარო სივრცეების მეტად გახსნაში;
- ადგილობრივი თემის უფლებამოსილების გაზრდა, რომ მოითხოვონ საჯარო სივრცეების მართვის გაუმჯობესება და ხმა ურბანული დაგეგმარების პოლიტიკის შემუშავებაში;
- საჯარო სივრცის მომხმარებელთა (ქალაქების მაცხოვრებლებისა და ხელოვანების, ქალაქის სტუმრების, სოციალური და კულტურული ჯგუფების) მონაწილეობის გაზრდა საჯარო სივრცეების პროექტირებასა და ორგანიზებაში, რაც ამ თემთა საჭიროებებზე უკეთ მორგებას უზრუნველყოფს;
- გადანყვეტილების მიმღებებზე და არსებულ საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა ადგილობრივ თემთან პარტნიორობით რეგიონში საჯარო ფართების დაცვის, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, განვითარების და ახალი ფართების შექმნის თვალსაზრისით;
- ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არსებული საჯარო ფართების (პარკები, კულტურის და სპორტული

5 ვიტალი სპრინციანას მოსაზრების შესაბამისად.

ინფრასტრუქტურა, რეკრეაციული ზონები, სპორტული მოედნები და კორპუსების შიდა ეზოები და ა.შ.) შენახვა / მომსახურების პასუხისმგებლობისგან გადახვევის პრევენცია, რომელიც, როგორც წესი, ამ ფართების დეგრადაციას იწვევს;

- საჯარო სივრცეების კომერციალიზაციის პროცესის შეჩერება, რასაც შედეგად გარე რეკლამის, მთელ ქალაქში რეალიზაციისა და დისტრიბუციის პუნქტების, გარე მოვაჭრეთა და ა.შ სწრაფი ზრდა მოსდევს;
- საჯარო სივრცეების ფუნქციის მოგებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ტიპის საქმიანობით ჩანაცვლების პრევენცია (პარკები, საზოგადოებრივი ტუალეტები და ა.შ.);
- სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის (ღვებტ თემი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და რელიგიური უმცირესობები, ეკონომიკურად დაუცველი ჯგუფები და ა.შ.) საჯარო სივრცეების გამოყენების შეზღუდვის თავიდან აცილება;
- საჯარო საკუთრების პრივატიზების პროცესში კორუფციის და გამჭვირვალობის ნაკლებობის აღმოფხვრა;
- ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ინსტიტუციონალური თანამშრომლობის ახალი ფორმების გამოგონება (საჯარო და სამოქალაქო პარტნიორობა);
- ხელი შეეწყოს „ქალაქის უფლების“ დღის წესრიგის პოპულარიზაციას და საჯარო თანხების გამოყოფის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას.

დღესდღეობით, ჩვენ არა კომერციულად მიღებული საქონლის და მომსახურების, რაც სოციალური თანასწორობის საფუძველს ქმნიდა, მზარდად გაფართოებული კომერციალიზაციის ზოგადი ტენდენციის მონმენი ვხვდებით: უფასო განათლება, ჯანმრთელობის დაზღვევა, ბუნებრივი რესურსები. ამ კომერციალიზაციის პროცესების საპასუხოდ გამოიყენება მაღალი დონის სოლიდარობა და თვითორგანიზებული სოციალური მოძრაობები, რომლებიც გამოწვევას უცხადებს ამ პროცესებს. ამ ეტაპზე მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, თუ როგორ უნდა დავუჭიროთ მხარი ამ სოციალურ მოძრაობებს და როგორ შევუწყოთ ხელი გაბატონებული პოლიტიკური დისკურსის რე-კონსტრუქციულიზაციას, რომლის მიხედვითაც არსებული ეკონომიკური კრიზისი „ძალიან

ძვირი” და „არამდგრადი” სოციალური სახელმწიფოს კრიზისს წარმოადგენს.

პროექტმა „სივრცეები” და ზემოთ აღნიშნულმა კონფერენციამ სცადეს გარკვეული მოსაზრებების, სავარაუდო პასუხების და ინსტრუმენტების შემოთავაზება იმ გამონვევების საპასუხოდ, რომლებიც ჩვენი თაობის კულტურის მოღვაწეების, აქტივისტების და მოქალაქეების დიდ ნაწილს გლობალურ კონტექსტში აწუხებს.

ლიტერატურა / წყაროები:

CLUBTURE, „კულტურა, როგორც გაცვლის პროცესი 2002-2007“ [CLUBTURE, Culture as the Process of Exchange 2002-2007]. რედ. დეა ვილოვიჩი, არასამთავრობო ორგანიზაციების ასოციაცია Clubture, ზაგრები, 2007.

შტეფან რუსუ: „თბილისის ტური“ [Tbilisi Guided Tour] (რემიუმე), პროექტის „სივრცეები“ შეკვეთა (2014)

თაგუი ტოროსიანი: „მეგობრობის კარტოგრაფირება: თანამედროვე სომხეთის ხელოვნებისა და კულტურის სფეროს გამოწვევები“ [Mapping Friendship: Challenges of Art and Cultural Scene in Contemporary Armenia], გამოცემულია SPACES - აღმოსავლეთ ქვეყნებში კულტურის სფეროში მდგრადი საჯარო სივრცეები-ის მიერ (რედაქტირებულია ნატაშა ბოდროზიჩის და ნინი ფალავანდიშვილის მიერ, Verlag Bibliothek der Provinz, 2014)

დეა ვილოვიჩი: “Razvoj novonastajućih kultura U Gradu Zagrebu od 1990 do 2010” (სადოქტორო დისერტაცია)

ინტერნეტ წყაროები

ანჟელა ჰარუტუნიანი: „საჯარო სფეროს გააზრება: საკონსტიტუციო სახელმწიფო და ACT ჯგუფის მიერ სომხეთში პოლიტიკური ესთეტიკის დამტკიცება“ (2011), გამოქვეყნებული <http://www.intellectbooks.co.uk/journals/view-Article,id=15050/>

ვიქტორ მისიანო „მეგობრობის ინსტიტუციონალიზაცია,“ გამოქვეყნებული:

<http://irwin.si/texts/institutionalisation/>

<http://www.jedinstvo.info/pozadina/Deklaracija/>

<http://trade.ec.europa.eu>

<http://www.culturalpolicies.net/web/countries.php?pcid=1180>

<http://www.culturalpolicies.net/web/georgia.php?aid=23&curln=103>

<http://www.dw.de/ancient-site-pits-locals-against-big-business-in-georgia/a-17566583>

<http://dfwatch.net/in-georgia-ngos-are-looking-for-peoples-trust-34213>

http://www.osgf.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=124

<http://art-leaks.org/2014/03/23/tbilisi-insights-collective-statement/>

<http://www.upogoni.org/en/>

<http://kulturanova.hr/>

პუბლიკაცია გამოცემულია პროექტ „სივრცეების“ (SPACES) ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მეშვეობით.



პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების ხედვას. ევროკავშირი არ იღებს პასუხისმგებლობას მოცემული ინფორმაციის შემდგომ გამოყენებაზე.

საჯაროობის წარმოდგენა

კულტურის სფეროს დამოუკიდებელ მოღვაწეთა სტატუსი და გამომწვევები საქართველოში

/ პოლიტიკის დოკუმენტი - ადგილობრივი გამოცემა/

შენიშვნა: ეს გამოცემა წარმოადგენს უფრო დიდი კვლევითი პროექტის ნაწილს, რომელიც ჩატარდა პროექტის „სივრცეები“ ფარგლებში და გამოქვეყნებულია ინგლისურ ენაზე სახელწოდებით:

IMAGINING THE PUBLIC

THE STATUS AND CHALLENGES OF THE INDEPENDENT CULTURAL ACTORS IN ARMENIA, GEORGIA, MOLDOVA AND UKRAINE

Editors: Nataša Bodrožić, with Kateryna Botanova, Nora Galfayan, Nini Palavandishvili, Vladimir Us

ქართული გამოცემის რედაქტორები: ნატაშა ბოდროჟიჩი, ნინი ფალავანდიშვილი

ავტორები: ნატაშა ბოდროჟიჩი, კატერინა ბოტანოვა, ნორა გალფაიანი, ნანო ზაზანიშვილი, ვიტალი სპრინცეანა, თავუი ტოროსიანი, ვლადიმერ უსი, ნინი ფალავანდიშვილი

გამომცემელი: პროექტი „სივრცეები“ (SPACES)

ღიზინი: თამუნა კოლოტაური, გოგა დემეტრაშვილი, ბატამ ღიზინი

ყდის ფოტო: ოლექსანდრ ბურლაკა

თარგმანი: ქეთი ხელაძე

კორექტურა: დათა ჭილოლაშვილი

გამოცემულია SPACES - აღმოსავლეთ ქვეყნებში კულტურისათვის განკუთვნილი მდგრადი საზოგადოებრივი ადგილები

SPACES სამწლიანი პროექტია, რომელიც ეძღვნებოდა საჯარო სივრცის აღდგენას ხელოვნებისა და კულტურისათვის, ასევე ქალაქის მაცხოვრებელთათვის. პროექტი მიმდინარეობდა სომხეთში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.

<http://www.spacesproject.net/>

პროექტის ხანგრძლივობა: 1.12.2011 - 30.11.2014

პროექტის ბიუჯეტი: 874,997 ევრო

დაფინანსების სქემა: ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში, ევროპის დახმარების ENPI: 2011/256804

განმხორციელებელი მხარეები:

კოორდინატორი OIKODROM - The Vienna Institute for Urban Sustainability - ვენა

Slobodne veze/Loose Associations - ზაგრები

Utopiana.am - ერევანი

CSM - კიევი

გეოეარი - თბილისი

Oberliht ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია - კიშინიოვი

Amour Fou - ლუქსემბურგი

მადლობა: სოფო ლაპიაშვილს, ლალი პერტენავას, შტეფან რუსუს, მიხეილ სვანიძეს, ტატიანა ფიოდოროვას, კატარინა შტადლერს, კულტურის პოლიტიკის კითხვარის ყველა რესპონდენტს, პროექტ „სივრცეების“ დონისძიებების, სემინარებისა და პოლიტიკური ფორუმების მონაწილეებს და OIKODROM-ს ლოგისტიკური მხარდაჭერისთვის.

პროექტ „სივრცეების“ მხარდაჭერა

Georgia



i f a

Institut für Auslandsbeziehungen e. V.




Federal Ministry for European and International Affairs




Ministerstwo Kultury i Dziedzictwa Narodowego

swiss arts council prohelvetia

Armenia



Ukraine



Moldova



iaspis



forumul cultural austriac^{buh}



NATAȘA EASTERN PARTNERSHIP CIVIL SOCIETY PLATFORM FOR CULTURE



CENTRUL CEH
ČESKÉ CENTRUM

Croatia



Austria

EUROPE
INTEGRATION
FOREIGN AFFAIRS
FEDERAL MINISTRY
REPUBLIC OF AUSTRIA

BUNDESKANZLERAMT ÖSTERREICH
KULTUR

KULTUR
NIEDERÖSTERREICH



Kunst im öffentlichen Raum
Niederösterreich

